

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის  
სამინისტრო

**სტრატეგიული გეგმა 2016-2019 წლებისათვის**

## შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრატეგიულ გეგმას 2016-2019 წლებისათვის. გეგმის მიზანია გამოკვეთოს პრიორიტეტები და სტრატეგიული მიმართულებები, რომლითაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო იხელმძღვანელებს პროგრამებისა და ბიუჯეტის შემუშავებისას, აგრეთვე ინსტიტუციური განვითარების პროცესში.

გეგმის შემუშავების ინიციატორია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე. ყველა სამინისტროს დაევალება ახალი გამოწვევების შესაბამისად შეემუშავებინათ სტრატეგიული გეგმები 2015 წლის განმავლობაში.

გეგმის შემუშავება განხორციელდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის, პირადად მინისტრის თაოსნობით. იგი აქტიურად უჭერდა მხარს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის მიმდინარეობას და მონაწილეობას იღებდა გეგმის შემუშავების სხვადასხვა ეტაპებზე.

2012-15 წლების სტრატეგიული გეგმების შემუშავებისათვის მნიშვნელოვანი იყო ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერა საჯარო სამსახურის რეფორმის პროგრამის (PAR) და საქართველოში კარგი მმართველობის პროგრამის (Good Governance in Georgia-G-3) ფარგლებში. სხვადასხვა წლებში პროგრამის განხორციელებაში უშულოდ მონაწილეობდნენ: საერთაშორისო საკონსულტაციო ჯგუფი “მენეჯმენტ სისტემ ინტერნემენალ” (MSI) და ადგილობრივი ორგანიზაციები “პოლიტიკისა და მართვის საკონსულტაციო ჯგუფი” (PMCG) და “საქართველოს შეფასების ასოციაცია” (GEA).

2015 წელს პირველად სამინისტროს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა დამოუკიდებლად შეექმნა წინამდებარე დოკუმენტი.

### **სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესი**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 11 მაისის N12/27 ბრძანებით 2016-2019 წლების სტრატეგიული გეგმის მომზადების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი.

ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდა ყველა დეპარტამენტის ხელმძღვანელი. დაისახა შემდეგი გეგმები:

ა) სამინისტროს დეპარტამენტების ხელმძღვანელთა შეხვედრაზე ინსტიტუციური თვითშეფასების ჩატარება და სამინისტროს წინაშე არსებული შესაძლებლობებისა და ახალი გამოწვევების გამოვლენა 2016-2019 წლებში და შემდგომი პერიოდისთვის;

ბ) სამინისტროს სრულყოფილი სტრატეგიული გეგმის შემუშავება ინსტიტუციური თვითშეფასების შედეგებზე დაყრდნობით;

გ) სამინისტროს თითოეული სტრატეგიული მიზნისათვის სამოქმედო გეგმების შედგენა, რათა სტრატეგია დაკავშირებული იყოს სამინისტროს ყოველდღიურ საქმიანობასთან და უზრუნველყოფილ იქნას, სტრატეგიის, როგორც ქმედითი დოკუმენტის მუდმივი გამოყენება;

დ) სტრატეგიული გეგმის შედგენისა და მისი განხორციელების პროცესში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საქმიანობით დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა დარგობრივ სამინისტროებთან, საჯარო დაწესებულებებთან, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებთან, კერძო სექტორთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან შესაძლო თანამშრომლობისა და პარტნიორობის განსაზღვრა;

ე) შეფასების ინდიკატორებისა და კრიტერიუმების განსაზღვრა, რაც სამინისტროს ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებს შესაძლებლობას მისცემთ, შეაფასონ სამინისტროს სტრატეგიასა და შესაბამის სამოქმედო გეგმებში ჩამოყალიბებული მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობების ეფექტიანობა.

საკონსულტაციო სამუშაოები განხორციელდა ინდივიდუალური სამუშაო შეხვედრებით, კონსულტაციებით სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამშრომლებსა და ხელმძღვანელობასთან. სტრატეგიულმა გეგმამ შემდეგი სახე მიიღო: გამოიკვეთა სტრატეგიული მიმართულებები - მიზნები (აუცილებლად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ძირეული ცვლილებები გასული წლების მიმართულებებში არ დაფიქსირდა), თანდართული სამოქმედო ამოცანებითა და აქტივობებით, რომელთაც თან ახლავს შესრულების ძირითადი კრიტერიუმები (ინდიკატორები).

სტრატეგიული გეგმის სამუშაო ვერსიის მიღების შემდგომ, სამინისტრო კონსულტაციებს მართავდა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის სამთავრობო და კერძო სექტორთან, რათა მიეღო მათი შენიშვნები და მოსაზრებები სტრატეგიული გეგმისა და მისი განხორციელების ირგვლივ.

სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესი იყო გამჭვირვალე და მასში მონაწილეობას იღებდნენ დაინტერესებული მხარეები.

## კონტექსტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (ჯსდ) ინაწილებს პასუხისმგებლობას ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და სოციალურ მდგომარეობაზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან (შჯსდ) ერთად. საქართველოს შჯსდ სამინისტრო განსაზღვრავს პოლიტიკას ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ სექტორებში, ახდენს სექტორების რეგულირებას, შუამდგომლობს საჭირო რესურსების ალოკაციის თაობაზე და ახორციელებს სახელმწიფო დაფინანსებას, აგროვებს ინფორმაციას მოსახლეობის ჯანმრთელობის სტატუსის და სისტემის ფუნქციონირების მახასიათებლების შესახებ. ის უზრუნველყოფს აჭარის (ისევე, როგორც ყველა სხვა რეგიონის) მოსახლეობის მოცვას სახელმწიფოს მიერ ცენტრალურ დონეზე დაფინანსებული მომსახურებით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის და სოციალურ დაცვის სამინისტროც სექტორული უწყებია. მისი მიმდინარე აქტივობები ისტორიულ პრაქტიკას ეფუძნება.

რაც შეეხება დაფინანსებას, ის კვლავ გააგრძელებს შემდგომში აღიარებულ პრინციპს, რომ არ მოახდენს ცენტრალური სამინისტროს აქტივობების კოპირება, დამოუკიდებლად მოახერხებს ადგილობრივი პრობლემების იდენტიფიცირებას და საკუთარ რესურსს მოახმარს იმ პრობლემების გადაწყვეტას, რომელსაც ცენტრალური უწყება არ განიხილავს პრიორიტეტულად ან მისი გადაწყვეტა არ მიაჩნია ამ ეტაპზე შესაძლებლად ქვეყნის მასშტაბით. აგრეთვე იმ პრობლემების გადაწყვეტას, რომელთაც ცენტრალური უწყება არ ფარავს სახელმწიფო პროგრამებით. სამინისტრო არ გამოირიცხავს შესაძლებლობას საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს ცენტრალური სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროგრამების “შევსება” დამატებითი მომსახურების პაკეტით რეგიონის მოსახლეობისათვის.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროა პრიორიტეტულად მიიჩნევს სოციალური პროგრამების ადრესირებას რეგიონული დონეზე და მათ შევსებას ადგილობრივი პროგრამებით. შესაბამისად, ის ჩამოაყალიბებს სტრატეგიულ ამოცანებს საშუალოვადიანი პერიოდისათვის, რელევანტურ სახელმწიფო პროგრამებთან ერთად რათა შეავსოს დღეს არსებული სიცარიელე ამ სფეროში.

აჭარის ჯსდ სამინისტროს ბიუჯეტში ადრესირებულია დასაქმება - სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო და საზოგადოებრივი ჯანდაცვა - სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, მისი პრეროგატივაა ავტონომიურ რესპუბლიკაში კეთილსაიმედო ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის უზრუნველყოფა, გადამდები და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე არაგადამდები დაავადებების და მათი გავრცელების რისკების გამოვლენა, პრევენციული ღონისძიებების გატარება, იმუნიზაცია, საინფორმაციო სისტემების ფუნქციონირება, დაავადებათა კონტროლი და პრევენცია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯსდ სამინისტროს ერთერთი სტრუქტურული ერთეული, რომელიც ადგილობრივად ასრულებდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წარმომადგენლობის ფუნქციებს, წლების განმავლობაში იყო **დევენილთა და განსახლების დეპარტამენტი**. დრომ გვიჩვენა, რომ განსახლების საკითხებში ეკომიგრანტებისათვის უფრო ქმედითი დახმარებისათვის და საკითხის უფრო დროულად გადაწყვეტისათვის უკეთესი იქნებოდა თუ ეკომიგრაციის საკითხს ცალკე დეპარტამენტი გაუძღვებოდა. გატარდა სათანადო ცვლილება და შეიქმნა სტიქიით დაზარალებულთა საქმეების დეპარტამენტი. რომლის სამოქმედო გეგმებმა და მომავლის ხედვამ გარკვეული ცვლილებების საჭიროება გააჩინა წინამდებარე სტრატეგიულ გეგმაში.

სამინისტროს ხელმძღვანელობასა და კონკრეტულ დეპარტამენტებთან მსჯელობის დროს გამოიკვეთა დამატებითი საკითხები, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია სტრატეგიული გეგმის შემუშავების და განხორციელების პროცესში:

- სამინისტრო კვლავ შეეცდება შეიძინოს მისი პროდუქციის, რაც შეიძლება მეტი უშუალო მომხმარებელი და ხელთ არსებული რესურსი განკარგოს შესაძლებლობის ფარგლებში სამართლიანობის პრინციპის დაცვით. ამ

ამოცანის მისაღწევად პრიორიტეტულია სამედიცინო და სოციალური მომსახურებით მოიცვას მოქალაქეების დიდი რაოდენობა.

- სამინისტროსათვის ხელმისაწვდომი რესურსის ზრდის პარალელურად დღის წესრიგში დადგება გაწეული მომსახურების მასშტაბისა და ხარისხის ზრდა.
- და როგორც უკვე ავლინებთ, ეკომიგრაციის საკითხებში ახლებური ხედვა და აქედან გამომდუნარე, ახალი უფრო ეფექტური ღონისძიებების შემუშავება.

წარმოდგენილი სტრატეგია სრულად ითვალისწინებს ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებებსა და წინადავნებებს. იგი ეფუძნება სამინისტროს ხელმძღვანელობის სურვილსა და მზაობას, გაზარდოს ფუნქციონირების ეფექტურობა და ეფექტიანობა ახალი სტრატეგიული პრიორიტეტების შემოთავაზებითა და განხორციელებით.

## კანონმდებლობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებას და შედის საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში. თავისი ამოცანების განხორციელებისას სამინისტრო წარმოადგენს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას და ანგარიშვალდებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წინაშე.

სამინისტრო ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, მოქმედებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ საქართველოს კონსტიტუციური კანონის, საქართველოს კანონების, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონისა და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

სამინისტრო ფინანსდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან და ანგარიშვალდებულია საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ გამოყენებაზე. სამინისტროს აქვს დასრულებული ბალანსი, ანგარიში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხაზინაში.

სამინისტრო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არის ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, დასაქმების და დევნილთა და განსახლების სფეროში ერთიანი სამთავრობო პოლიტიკის გამტარებელი ორგანო.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, სანიტარია, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობა მიეკუთვნება „აჭარის განსაკუთრებული გაგმებლობას“ (მუხლი 3, ქვეპუნქტი „ი“).

ზოგადი საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც არეგულირებს სამინისტროს საქმიანობას მოიცავს საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს, საქართველოს შრომის კოდექსს, საქართველოს კანონებს საჯარო სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ. კონკრეტულ სფეროებში სამინისტროს საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი კანონებით.

## **ძირითადი გამოწვევები**

### *რეგიონალური განვითარების გეგმა და სტრატეგიული პარტნიორობა*

სამინისტროს სტრატეგია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონალური განვითარების ერთიანი სტრატეგიული გეგმის ნაწილს წარმოადგენს.

რეგიონალური განვითარების სტრატეგიის განხორციელება ახალ შესაძლებლობებს ქმნის გეგმის შესრულებაში ჩართული სხვადასხვა ერთეულების (სამინისტროებისა და მუნიციპალიტეტების) მუშაობის კოორდინაციის გაუმჯობესებისათვის, სამინისტროს შიდა პროგრამებს შორის, ისევე როგორც სხვადასხვა სამინისტროების პროგრამებს შორის ურთიერთკავშირის გაძლიერებისათვის.

რეგიონალური სტრატეგიის წარმატებით განხორციელებისათვის, აგრეთვე, მნიშვნელოვანია მონაცემების შეგროვებისა და მონიტორინგის მექანიზმების სრულყოფა და ამ მხრივ რეგიონალური გეგმის განხორციელებაში ჩართულ სხვა უწყებებთან შეთანხმებული მუშაობა.

### *პროგრამული მართვა*

2013-14 წლებიდან პროგრამულ დაფინანსებაზე გადასვლის პირობებში სამინისტროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს პროგრამების დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების დახვეწა, ანგარიშგების და დაფინანსების მოთხოვნის ფორმებში მეტი ინდიკატორების ინტეგრირება, სამინისტროსთვის მნიშვნელოვანი სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და გამოყენების მექანიზმების სრულყოფა.

## **სამინისტროს პროგრამებისა და აქტივობების შესახებ მოკლე ინფორმაცია**

### **იხილეთ დანართი 1:**

## ორგანიზაციული და ინსტიტუციური გარემოს შეფასება

სტრატეგიული დაგეგმვის შესახებ გამართულ სამუშაო შეხვედრებზე გამოვლინდა, რომ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ძლიერი და სუსტი მხარეები მცირედი ცვლილებების გარდა მიახლოებული რჩება წინა წლებში არსებულ მონაცემებთან და მდგომარეობასთან.

### ძლიერი მხარეები

- კომპეტენტური და რელევანტური ხელმძღვანელობა;
- თანამშრომელთა გამოცდილება, კომპეტენტურობა და საქმისადმი ერთგულება;
- ჩამოყალიბებული პრაქტიკა და პროცესი პროგრამების მონიტორინგისა და შეფასებასებისათვის;
- ადამიანური ურთიერთობები მომხმარებელთან (სამედიცინო პერსონალთან და მოსახლეობასთან);
- ეფექტური და განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურა და დებულება;
- დაგეგმვის კომპეტენცია, კულტურა და პრაქტიკა;
- ინფორმატიული განახლებული ვებ-გვერდი;
- ელექტრონული სისტემები

### susti mxareebi

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა - შეფასებისა და გადამზადების მექანიზმები არ არის სრულყოფილი;
- არასრულყოფილი მონაცემთა ბაზა/სტატისტიკა და შესაბამისი ხარვეზები დაგეგმვის პროცესში;
- სამსახურებს შორის არასაკმარისი კოორდინაცია, რაც ამცირებს ეფექტიანობას
- ცალმხრივი (არასრულყოფილი) ურთიერთობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან (ინფორმაცია გადის, მაგრამ ანგარიშის მიწოდება სამინისტროსათვის არ ხდება)
- თანამშრომლობის დაბალი მაჩვენებელი საზოგადოებრივ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან

## შესაძლებლობები

- მოსახლეობის აქტივობისა და თანამონაწილეობის გაძლიერება;
- მუნიციპალიტეტების აქტიური გამოყენება პჯდ-საკითხებში;
- ინვესტორების მოძიება; (ჯანდაცვის სექტორში?);
- მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობა სოციალური პროგრამების განხორციელებისთვის;

## საფრთხეები

- ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა;
- ფინანსური დეფიციტი, არამდგრადობა;

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრატეგიული ჩარჩო

აჭარის ჯსდ სამინისტროს ხედვა:

**“აჭარა ჯანმრთელი და სოციალურად დაცული ოჯახებით”**

სამინისტროს “ხედვა” ფორმულირებულია შემდეგ პოსტულატებზე დაყრდნობით:

- ხედვა წარმოადგენს ორგანიზაციის გრძელვადიან, ყოვლისმომცველ მიზანს, რომელიც მიიღწევა როგორც ორგანიზაციის მანდატით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებით, ასევე, სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით;
- თავისი არსით, ხედვა ის შედეგია, რომლის მიღწევაც მხოლოდ სამინისტროს ძალებით შეუძლებელია;

- ხედვა გვეხმარება, რომ დავინახოთ სასურველი მომავალი ფართო და გრძელვადიან კონტექსტში, რომლის ფორმირებაშიც სამინისტროს აქვს მნიშვნელოვანი წილი სტრატეგიული გეგმის განხორციელებით;

### აჭარის ჯგუფის სამინისტროს მისია 2016-2019 წლებისათვის:

- ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- ხარისხიანი სამედიცინო სერვისებისადმი ხელმისაწვდომობის ამაღლება;
- დასაქმების ხელშეწყობა;
- სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების მიზნობრივი დახმარება.

### აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრატეგიული გეგმის ძირითადი პრინციპები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრატეგიული გეგმის ძირითადი პრინციპებია:

- თავსებადობა ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ პოლიტიკასთან - ორიენტირებული სოციალურად დაუცველ მისახლეობაზე;
- საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შენარჩუნება;
- ჯანმრთელობის ინდივიდუალური რისკების მართვის პასუხისმგებლობის განაწილება პიროვნებას, კერძო სექტორსა და სახელმწიფოს შორის;
- კერძო და სახელმწიფო სექტორების პარტნიორობის და თანამშრომლობის ხელშეწყობა;
- სამედიცინო ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობა;
- პაციენტის თავისუფალი არჩევანის უფლების ხელშეწყობა;
- სოციალურად დაუცველი პაციენტების მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა;
- სტიქიის/ხანძრის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის ქმედითი დახმარების გაწევა;
- ეკოგრანტთათვის უსაფრთხო გარემოში ინტეგრირების ხელშეწყობა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრატეგიული გეგმის გლობალური მიზანია:

**2019 წლისთვის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესება ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების მიზანმიმართულობის, ეფექტიანობის და ეფექტურობის გაუმჯობესების გზით.**

მისიის განხორციელებისათვის სამინისტროს დაგეგმილი აქვს მუშაობა რვა სტრატეგიული მიმართულებით თითოეული მიმართულება აერთიანებს სტრატეგიულ მიზნებს (პროგრამას). თითოეულ მიზნისათვის სამინისტრო უზრუნველყოფს შესაბამისი პროგრამის შემუშავებას, რომელიც თავის მხრივ, მოიცავს აქტივობებსა და ქვეპროგრამებს (ამოცანებს).

### სტრატეგიული მიმართულებები, მიზნები და ამოცანები



# სტრატეგიული მიმართულება 1: სამედიცინო მომსახურებისადმი გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობა შენარჩუნებულია და იზრდება რეგიონის მასშტაბით

## სტრატეგიული მიზანი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში, მათ შორის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში სამედიცინო მომსახურებისადმი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის შენარჩუნება.

1. სამედიცინო მომსახურებისადმი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის შენარჩუნება და რეგიონის მასშტაბით პირველადი ჯანდაცვის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც იყოფა ხუთ ამოცანად:

- სოფლად პირველადი ჯანდაცვის ცენტრების სერვისების გაუმჯობესების ხელშეწყობა.
- სოფლის მოსახლეობისათვის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების ხელშეწყობა.
- სოფლად დასაქმებული სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება
- საექიმო კადრების სოფლებში დამაგრება–სოფლის ექიმისათვის დამატებითი შრომის ანაზღაურება.
- გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის ბარიერების შემცირება მუნიციპალიტეტებში ჰოსპიტალური მომსახურების შენარჩუნებით და ხელშეწყობის სრულყოფით.

აქედან შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც ქვეპროგრამა: მთიან მუნიციპალიტეტებში გეოგრაფიული მდებარეობისა და კლიმატური პირობების გამო მოსახლეობისათვის დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდება გართულებულია, ამიტომ ადგილზე არსებული ექთნები მოსახლეობისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ, რამაც გამოიწვია მათთვის ადგილზე ექიმამდელი სამედიცინო დახმარების ორგანიზებისა და დასაქმებული ექთნების სისტემატიური კვალიფიკაციის ამაღლების აუცილებლობა.

გაუმჯობესდება მუნიციპალიტეტების პირველადი ჯანდაცვის ცენტრების სერვისები და მობილურობა.

სოფლის ექიმების ადგილზე დამაგრებით მუნიციპალიტეტების სოფლის მოსახლეობისათვის უზრუნველყოფილი იქნება უწყვეტი, ბაზისური სამედიცინო მომსახურების მიწოდება.

გამომდინარე იქიდან, რომ ჰოსპიტალურ მომსახურებას აწარმოებენ კერძო საკუთრებაში მყოფი ჰოსპიტალები, სამინისტრო აუცილებლად თვლის სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელებული დაავადებების მიხედვით ჰოსპიტალებში გათვალისწინებული იქნეს, როგორც მწვავე, ასევე გეგმიური პაციენტებისათვის სტაციონარული სამედიცინო მომსახურება. (გადაუდებელი და გეგმიური სტაციონარული მომსახურება, მშობიარობა და საკეისრო კვეთა).

გამლიერდეს მუნიციპალიტეტების როლი პჯდ-მართვაში.

## სტრატეგიული მიზანი:

სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურებისადმი ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარების პროგრამა ქვეპროგრამები:

- ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევის ქვეპროგრამა – მიზნობრივ ჯგუფებში/მოწყვლად მოსახლეობაში

ქვეპროგრამების უშუალო მიზანია: მიზნობრივი ჯგუფების/მოწყვლადი მოსახლეობის (სოციალურად დაუცველი მოსახლეობა–200 000 სარეიტინგო ქულით) მაღალტექნოლოგიურ დიაგნოსტიკურ კვლევებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო სერვისები მოიცავს სხვადასხვა ორგანოების კომპიუტერულ–ტომოგრაფიულ, ანგიოგრაფიულ, მაგნიტურ რეზონანსულ–ტომოგრაფიულ, კორონაროგრაფია/ვენტრიკულოგრაფიულ, პერიფერიული სისხლძარღვების ინვაზიურ რენტგენო–კონტრასტულ ანგიოგრაფიულ და სხვა კვლევების დაფინანსებას დამტკიცებული ტარიფის შესაბამისად.

- გულის ქირურგიის ქვეპროგრამა;

ქვეპროგრამების უშუალო მიზანია: 18-წლის ასაკიდან მოსახლეობის (რომლებიც არ სარგებლობენ სახელმწიფოს ბიუჯეტით დაფინანსებული სხვადასხვა სამედიცინო პროგრამებით) კარდიოქირურგიული მკურნალობა, გულის დაავადებების მძიმე ფორმებით გამოწვეული ლეტალობისა და შესაძლებლობის შეზღუდვის შემცირება.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო სერვისები მოიცავს გულის თანდაყოლილი და შეძენილი მანკებით, გულის იშემიური დაავადებით, გულის სიმსივნით დაავადებულ პაციენტთათვის დროულად მიწოდებული კარდიოქირურგიული დახმარებას. მნიშვნელოვნად მცირდება სიკვდილობისა და შესაძლებლობის შეზღუდვის რისკი, რაც დღის წესრიგში აყენებს მოზრდილი მოსახლეობისათვის კარდიოქირურგიული დახმარების ხელმისაწვდომობის აუცილებლობას.

- სახსრების ენდოპროტეზირების ქვეპროგრამა;

ქვეპროგრამების უშუალო მიზანია: მოსახლეობისათვის სახსრების ენდოპროტეზირების (გადაგვარებული ან დაზიანებული სახსრის ჩანაცვლება ხელოვნური იმპლანტით) ჩატარებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო სერვისები მოიცავს–ნებისმიერი გადაგვარებული ან დაზიანებული სახსრის ჩანაცვლებას ხელოვნური იმპლანტით.

- მოსახლეობისათვის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამა

- ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება;
- ონკოლოგიურ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურება;

ქვეპროგრამების უშუალო მიზანია: სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის მკურნალობასთან დაკავშირებული იმ ფინანსური რისკებისაგან დაცვა, რომელიც ვერ იფარება მოქმედი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო სერვისები მოიცავს– სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის სამედიცინო რეაბილიტაციას, ონკოლოგიურ პაციენტთა ტარგენტული, იმუნოთერაპიული მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტებისა და ბისფოსფონატების ჯგუფის მედიკამენტების დაფინანსებას, ამბულატორიულ და ჰოსპიტალურ სამედიცინო მომსახურებას (რომლებიც ვერ იფარება მოქმედი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით).

### **მიზნობრივი ჯგუფი**

მიზნობრივი ჯგუფის განსაზღვრის კრიტერიუმებია მისი ეკონომიკური და დემოგრაფიული პროფილი და ოჯახის საცხოვრებელი ადგილი (გეოგრაფიული მდებარეობა)

ეკონომიკური და დემოგრაფიული კრიტერიუმებით შერჩევის შედეგად სამინისტრო იღებს იმ შესაძლო ბენეფიციარების კოჰორტას, რომლებსაც საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის და ოჯახის დემოგრაფიული შემადგენლობის გამო არ შეუძლიათ კერძო სამედიცინო დაზღვევის შექმნა და ამავდროულად არ არიან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლები.

სხვა შემთხვევაში, მიზნობრივი ჯგუფი შეიძლება იყოს რეგიონის მთლიანი მოსახლეობა, რათა მათთვის ხელმისაწვდომი გახდეს მომსახურება, რომელიც არ იფარება ფედერალური სახელმწიფო პროგრამებით. (მაგალითად, გულის ქირურგიის ქვეპროგრამა; სახსრების ენდოპროტეზირების ქვეპროგრამა)

და ბოლოს, მიზნობრივი ჯგუფი შესაძლოა იყოს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის პროგრამის მოსარგებლები, რომელთაც ჯსდ სამინისტრო სთავაზობს ხელმისაწვდომობას იმ მომსახურებისადმი, რომელიც არ იფარება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით. (მაგალითად, მოსახლეობისათვის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამა)

### **მოწყვლადი მოსახლეობა**

ჯსდ სამინისტროს პროგრამებში მოცემულია იმ კატეგორიების ჩამონათვალი, რაც შესაძლებელია მივაკუთვნოთ მოწყვლად მოსახლეობას. ეს კატეგორიები მოიცავს შემდეგ ჯგუფებს:

- სტიქიის/კატასტროფების შედეგად დაზარალებული მოსახლეობა;

- სოციალურად დაუცველი ადამიანების გარკვეული კატეგორიები (200 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეები, რომელნიც არ არიან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის (სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება დადგენილება N218) მოსარგებლეები.

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომელნიც არ არიან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის (ასაკობრივიჯგუფის,სტუდენტების, შშმპ ბავშვთა,და მკვეთრად გამოხატული შშმპ სამედიცინო მომსახურება დადგენილება N165) მოსარგებლეები.

- ომის ვეტერანები, ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილეები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები; მრავალშვილიანი ოჯახის წევრები;

- პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლნი;
- უსახლკართა თავშესაფრის კონტიგენტი;
- ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეები;
- უსახლკარო მოსახლეობა;
- მარტოხელა დედები;
- ტრეფიკინგისა და ძალადობის მსხვერპლი;

## სტრატეგიული მიმართულება 2:

**მიზანი:** დაავადებათა პრევენცია, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხეებისადმი მზადყოფნა და დროული რეაგირება

აჭარის ავტონომიური ტერიტორიაზე მოცემულ მიმართულებაზე პასუხისმგებელია სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი.

## სტრატეგიული ამოცანები:

- რეგიონში ინფექციურ და პარაზიტულ დაავადებათა მიმართ ეპიდკეთილსაიმედო გარემოს უზრუნველყოფა;
- გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენცია;
- ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის მიზნით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება პრიორიტეტულ საკითხთა ირგვლივ;
- სამიზნე ჯგუფებში დაავადებათა ადრეული გამოვლენა, დაავადებათა დროული მართვისა და გართულებათა თავიდან აცილების მიზნით;

- იმუნიზაციით მოცვის გაუმჯობესება საინფორმაციო სისტემისა და ლოჯისტიკის გამართული მუშაობის გზით;
- სამედიცინო სტატისტიკის მონაცემთა ხარისხის სრულყოფა;

ეპიდზედამხედველობის სისტემის გაძლიერება საშულებას იძლევა დროულად და ზუსტად იქნას აღრიცხული გადამდები დაავადებები, სასწრაფო შეტყობინებას დაქვემდებარებულ დაავადებათა და ეპიდაფეთქებათა შემთხვევაში განხორციელდეს სწრაფი რეაგირება ინფექციის წყაროს იდენტიფიკაციისა და დაავადების ლოკალიზაციის მიზნით.

საინფორმაციო/საგანმანათლებლო სამუშაოების ჩატარება საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მოზარდ თაობასა და სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელებში, სამედიცინო პერსონალსა და მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებში მიზნად ისახავს ცნობიერების ამაღლებას დაავადებათა პრევენციის საკითხებზე, ხელს უწყობს მოზარდ თაობაში ჯანსაღი უნარ-ჩვევების დამკვიდრებას.

პრევენციულ ღონისძიებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ მოსახლების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ჯანრთელობის აცილებადი რისკების მართვაში. რეგიონის ავადობის სტრუქტურაში წამყვანი ადგილი უჭირავს კარდიოვასკულარულ და ენდოკრინულ დაავადებებს, რომელთა პრევენცია შესაძლებელია მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებით, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობით.

სამედიცინო - პროფილაქტიკური გასინჯვები აჭარის მოსახლეობის მიზნობრივ ჯგუფებში დაავადებებისა და მდგომარეობების ადრეულ ეტაპზე გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა, რაც დროული და სწორი მართვის შემთხვევაში, განაპირობებს დაავადებათა გართულებებისა და ქრონიზაციის თავიდან აცილებას.

ვაქცინაცია მოსახლეობის პირველადი პრევენციის რგოლია და მას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იმუნიზაციით მართვადი დაავადებების პრევენციაში.

სამედიცინო სტატისტიკის სრულყოფილი წარმოება წინაპირობაა რეგიონში დემოგრაფიულ მაჩვენებელთა და დაავადებათა გარვცელების შესასწავლად.

შესაბამისად, მოცემულ მიმართულებაში გამოყოფილია ხუთი ძირითადი ამოცანა, რომლებიც შემდეგ წარმოდგენილია პრიორიტეტის „მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა“ პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა“ სახით:

1. გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი, ეპიდსაწინააღმდეგო და პრევენციული ღონისძიებების განხორციელება. პრიორიტეტული საკითხის ირგვლივ სამიზნე ჯგუფებისა და მოსახლეობის ინფორმატიულობის ზრდა, ჩართულობა.
2. შერჩეულ სამიზნე ჯგუფში (რეგიონის სკოლისა და საბავშვო ბაღი აღსაზრდელები, სარეიტინგო ქულის მქონე ორსულები, მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობა, მუნიციპალიტეტების სამედიცინო დაწესებულებებში დაბადებული ახალშობილები) სამედიცინო – პროფილაქტიკური გამოკვლევების განხორციელება დაავადების ადრეული გამოვლენის მიზნით;

3. C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარებისთვის მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი გამოკვლევებისა და მკურნალობის პროცესის მონიტორინგისათვის აუცილებელი კვლევების ჩატარების თანაგადახდის უზრუნველყოფა.
4. იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, მისი ლოჯისტიკური უზრუნველყოფა და განხორციელების ზედამხედველობა.
5. სახელმწიფო სტატისტიკის წარმოება, მონაცემთა შეკრება და გადაცემა;

მოცემული ხუთი ამოცანიდან იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, მისი ლოჯისტიკური უზრუნველყოფა და განხორციელების ზედამხედველობა, ასევე სახელმწიფო სტატისტიკის წარმოება ხორციელდება სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა და სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს შორის მოქმედი ხელშეკრულების ფარგლებში.

პროგრამა „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა“ შედგება 2 ქვეპროგრამისაგან:

1. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა
2. დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა

ქვეპროგრამა „დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა“ მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

- ეპიდზედამხედველობის განხორციელება, ეპიდსიტუაციის მართვა და ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობა
- მოსახლეობის ავადობის აქტიური გამოვლენა სამიზნე ჯგუფში
- c ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკა
- ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა ორსულებში (სამიზნე ჯგუფი)
- კიბოსა და კიბოსწინა დაავადებების ადრეული დიაგნოსტიკა მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობაში
- სმენის სკრინინგი ახალშობილებში

## **სტრატეგიული მიმართულება 3 - სოციალური დახმარების ხელმისაწვდომობის გაზრდა**

**სტრატეგიული მიზანი:**

მოწყვლადი ჯგუფების სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

მოცემული მიმართულების მიერ განსაზღვრული ამოცანები ორ პროგრამაში ერთიანდება:

1. სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია

ქვეპროგრამები:

- ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია/რეაბილიტაცია;
- სქოლიოზით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაცია;
- ბავშვთა ადრეული განვითარება;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სოციალური ადაპტაცია.

2. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამები:

- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფა;
- სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფა.

სტრატეგიული მიზანი: მიზნობრივი ჯგუფების ერთჯერადი მატერიალური დახმარება

მოცემული მიმართულების მიერ განსაზღვრული ამოცანები ერთ პროგრამაში ერთიანდება:

მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარება

ქვეპროგრამები:

- 100 წელს გადაცილებული მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება;
- ახალშობილი ტყუპების ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება;
- 2008 წლის რუსული აგრესიის შედეგად და 2012 წელს ავღანეთში დაღუპულთა ოჯახების დახმარება.

სტრატეგიული მიზანი: მოწყვლადი ჯგუფების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება

მოცემული მიმართულების მიერ განსაზღვრული ამოცანები ორ პროგრამაში ერთიანდება:

1. მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა.

## სტრატეგიული მიმართულება 4 - ეკომიგრანტთა უსაფრთხო გარემოში ინტეგრირების ხელშეწყობა

### სტრატეგიული მიზანი:

### სტიქიით/ხანძრით დაზარალებული ოჯახების საყოფაცხოვრებო და სოციალური პირობების გაუმჯობესება.

აუცვლებელია ბუნებრივი კატასტროფების გამომწვევი მიზეზების პრევენციისა და დამდგარი შედეგების ლიკვიდაციის პროცესში ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების ჩართულობის გაზრდა.

მოცემული მიზანი აერთიანებს შემდეგ ამოცანებს:

- სოციალურ სახლებში ეკომიგრანტი ოჯახებისათვის საცხოვრებელი ფართების გადაცემის ხელშეწყობა;
- ეკომიგრანტი ოჯახების ადგილმონაცვლეობის მიზნით, მათ საკუთრებაში არსებულ გეოლოგიურად მდგრად მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი სახლის გადატანისათვის ფინანსური დახმარების ხელშეწყობა;
- სტიქიის/ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის, საცხოვრებელი სახლების ადგილზე აღდგენა/მშენებლობის ან მიმდებარე ტერიტორიაზე ადგილმონაცვლეობის მიზნით ფინანსური დახმარების ხელშეწყობა;
- სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე და სხვა სახის ქონებაზე სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის კომპენსირების ხელშეწყობა;
- ეკომიგრანტთა განსახლების უზრუნველსაყოფა, ტრანსპორტირების ხარჯების გამოყოფის ხელშეწყობა;

პროგრამის ბენეფიციარს წარმოადგენენ ეკომიგრანტები, რომლებსაც შუამდგომლობს შესაბამისი თვითმმართველი ერთეული, როგორც მის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს და რომლებიც 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რეგისტრირებული არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

მოსარგებლეთა შერჩევის წესი: ბენეფიციართა შერჩევას უზრუნველყოფს უფლებამოსილი კომისია (შემდგომში-კომისია). კომისიის შემადგენლობა, უფლებამოსილება, ბენეფიციართა შერჩევის წესი და კრიტერიუმები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სამართლებრივი აქტით. (შემდგომში-დადგენილი წესი).

კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში-სამინისტრო), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან ამ მიზნით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, საცხოვრებელი ფართის გამყიდველს ბენეფიციარის სასარგებლოდ გადაუხდის უძრავი ქონების ღირებულებას/ან მის ნაწილს არაუმეტეს 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარისა.

პროგრამაში ჩართვის საფუძველია საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე მოქალაქის განაცხადი და შესაბამისი სამსახურის/სპეციალისტების დასკვნა, რომლითაც დასტურდება, რომ ოჯახი ექვემდებარება გადაადგილებას. თვითმმართველი ერთეულები, დადგენილი წესის შესაბამისად შეისწავლიან ბენეფიციარის ოჯახს, ანიჭებენ კატეგორიას, კრიტერიუმთა პრიორიტეტულობის განმსაზღვრელ ქულას და ქმნიან დოკუმენტაციას კომისიაზე შუამდგომლობის დაყენების მიზნით. განაცხადის დაკმაყოფილების დროს კომისიის მიერ უპირატესობა მიენიჭება უფრო მაღალი პრიორიტეტის მქონე ბენეფიციარს.

## სტრატეგიული მიმართულება 5

**აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმების ხელმისაწვდომობის ზრდა და უმუშევრობის დონის შემცირება**

სტრატეგიული მიმართულება აერთიანებს პროგრამებსა და ქვეპროგრამებს, რომლის მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე უმუშევრობის შემცირების ხელშეწყობა, როგორც ორგანიზაციული და ბიზნეს გარემოს სრულყოფის, ისე შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარების გზით. სტრატეგიული მიმართულების განხორციელების საფუძველზე მცირდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შრომის მაძიებელთა რაოდენობა, რაც დადებითად აისახება რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლების ზრდაზე. მოცემული მიმართულების მიერ განსაზღვრული ამოცანები 2 პროგრამის ფარგლებში ერთიანდება:

მოცემული მიმართულება აერთიანებს შემდეგ სტრატეგიულ ამოცანებს:

**სტრატეგიული მიზანი:**

დასაქმების სააგენტოს მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობის შენარჩუნება და ზრდა რეგიონის მასშტაბით, სააგენტოს ეფექტიანი და ხელმისაწვდომი მომსახურების გაუმჯობესების გზით.

ამოცანა 1.1 დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა მიწოდება;

ამოცანა 1.2 : სააგენტოს ორგანიზაციული გაძლიერება;

ამოცანა 1.3. „დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველყოფა”

1.3.1. „სააგენტოს საქმიანობის პოპულარიზაცია”

1.3.2. „პროფესიული გადამზადება”

## სტრატეგიული მიზანი:

შრომის ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირებული პროფესიული სწავლების სისტემის განვითარების მხარდაჭერა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე უმუშევრობის დონის შესამცირებლად წარმოდგენილია მიზნობრივი პროგრამის „დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველყოფა“ -ის ერთერთი ქვეპროგრამის „პროფესიული გადამზადება“ -ის სახით.

### ამოცანა 2.1. ქვეპროგრამა „პროფესიული გადამზადება“.

პროგრამა ითვალისწინებს:

ა) აჭარის რეგიონში მცხოვრები პროფესიული უნარების შეძენის სურვილის მქონე მოქალაქეებისათვის პროფესიული უნარების შეძენას;

ბ) პროგრამის ბენეფიციართა ცოდნის შეძენა/ამაღლებას უცხო ენებში (ინგლისური; რუსული);

გ) ბენეფიციარებისათვის საწარმოო პრაქტიკის ორთვიანი კურსის შეთავაზება კონკრეტულ სპეციალობებში პრაქტიკული უნარების გაზრდისა და მუშაობის გამოცდილების შესაძენად.

აჭარის ავტონომიური ტერიტორიაზე პროფესიული გადამზადების პროგრამის შესრულებასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია სსიპ -ი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო, რომელიც მუშაობის პროცესში ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის სტანდარტებით და თითოეული პროგრამისა და ქვეპროგრამის ფარგლებში ეწევა მონიტორინგსა და საბოლოო შეფასებას, რაც დაგეგმილი შედეგების მიღწევის შესაძლებლობას ზრდის.

## სტრატეგიული მიმართულება 6 სამინისტროს ორგანიზაციული განვითარება

სტრატეგიული მიზანი: სამინისტროს მართვის შიდაორგანიზაციული სისტემებისა და სამუშაო პროცედურების დახვეწა სამინისტროს საქმიანობის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად

მოცემული მიმართულება აერთიანებს 2 პროგრამას:

- 1 ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესება;
- 2 მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

ადამიანური რესურსების მართვის პროგრამის ამოცანაა:

- სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის სისტემის სრულყოფა და კადრების მოტივაციის გაზრდა;
- პროგრამების მართვის ორგანიზაციული სისტემის სრულყოფა და ნორმატიულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა;
- შიდა აუდიტის სამსახურის სრულყოფა;
- მედიაციის სამსახურის სრულყოფა;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის დახვეწა.

მატერიალური რესურსების მართვის პროგრამის მიზნებია:

- შიდა ინტრანეტის სტრუქტურისა და ინფორმაციის მიღებისა და გადამუშავების ხარისხის გაუმჯობესება, სამინისტროს მუშაობის უკეთესი კოორდინაციისა და კომუნიკაციის უზრუნველყოფისათვის;
- სტრატეგიულად მნიშვნელოვან მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მექანიზმების სრულყოფა.

სამინისტრო განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს სრულყოფილ ერთეულებსა და სააგენტოებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესებას, რაც გაზრდის სამედიცინო და სოციალური პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის ეფექტურობას.

სტრატეგიული გეგმის შესაბამისად მომდევნო წლებში გათვალისწინებულია:

- “ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონული ცენტრის” შენობის სრული რეაბილიტაცია/რეკონსტრუქცია. დონორი ორგანიზაცია - “თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტო” (TIKA). კლინიკა წლის განმავლობაში ემსახურება 20-ზე მეტ პაციენტს. შედეგი: საავადმყოფოს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სამედიცინო ხარისხის გაუმჯობესება, პაციენტების კმაყოფილების ამაღლება

- ქ.ბათუმში ახალი მრავალფუნქციური საავადმყოფოს მშენებლობა.

მრავალპროფილური საავადმყოფო 170 საწოლზე იქნება გათვლილი, სამედიცინო დაწესებულება თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვება, მოხდება დასაქმებული სამედიცინო პერსონალის გადამზადება უცხოეთის კლინიკებში, დაწესებულება პაციენტებს მაღალი ხარისხის ხელმისაწვდომ მომსახურებას შესთავაზებს